

შპს „შნო“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
თანხები გამოსატულია ლარში

	შენ.	2024წ.	2023წ.
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	3	77,802	63,663
სავაჭრო მოთხოვნები	4	48,308	78,814
მარაგები	5	509,287	460,950
საგადასახადო აქტივი			
სხვა არამატერიალური აქტივები		1,907	1,907
ძირითადი საშუალებები	6	960,032	1,057,121
სულ აქტივები		1,597,336	1,662,455
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	7	281,966	115,705
საგადასახადო ვალდებულება		17,230	24,513
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		-	-
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	8		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	8	135,872	166,821
სულ ვალდებულებები		435,068	307,039
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		2,600	2,600
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		529,578	695,350
გადაფასების რეზერვი		520,137	547,513
სხვა რეზერვები		109,953	109,953
სულ საკუთარი კაპიტალი		1,162,268	1,355,416
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,597,336	1,662,455

დირექტორი
გივი ნიორაძე



27 სექტემბერი, 2025 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 4-11 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „შნო“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის
თანხები გამოხატულია ლარში

	2024წ.	2023წ.
ნეტო ამონაგები	744,363	879,364
საქონლის გაყიდვიდან	704,143	870,333
მომსახურების გაწევიდან	37,678	6,489
სხვა საოპერაციო შემოსავლები	2,542	2,542
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(167,787)	(198,948)
საერთომოგება	576,576	680,416
სხვა შემოსავალი		511
სხვა არასაოპერაციო ზარალი (-)	(7,559)	
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	427	670
დასაქმებულთა ანაზღაურება (-)	(545,887)	(567,285)
საპენსიო ხარჯი	(7,181)	(8,095)
ცვეთა და ამორტიზაცია (-)	(99,836)	(94,476)
იჯარა	(18,745)	(35,571)
კომუნალური ხარჯები (-)	(10,529)	(10,816)
საპროცენტო შემოსავალი	1,803	2,316
საპროცენტო ხარჯი (-)	(13,984)	(9,997)
საგადასახადო ხარჯი (-)	(10,531)	(10,058)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი (-)	(32,001)	(47,823)
სულ საოპერაციო ხარჯები	(744,023)	(780,624)
საოპერაციო მოგება	(167,447)	(100,208)
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები (-)	-	-
მარაგები (-)	-	-
სხვა არაფინანსური აქტივები (-)	-	-
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	(167,447)	(100,208)
მოგების გადასახადი (-)	-	-
მოგება/(ზარალი)	(167,447)	(100,208)
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი	-	-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირესა წარმოების უძრავი ქონებისა და ფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	(167,447)	(100,208)
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1,355,416	1,455,989

ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალისგაზრდა', კოოპერატივი სშემთხვევაში 'საპაიოკაპიტალისგაზრდა')	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	(25,701)	(365)
სხვა ცვლილებები გადაფასების რეზერვში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,162,268	1,355,416

დირექტორი
გივი ნიორაძე
27 სექტემბერი, 2025 წ.
თბილისი, საქართველო



შენიშვნები გვერდებზე 4-11 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.
შპს „შნო“
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის პერიოდისთვის
თანხები გამოხატულია ლარში
პირდაპირი მეთოდი

	2024წ.	2023წ.
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული ფულადი სახსრები	1,110,601	917,466
თანამშრომლებზე და მიმწოდებლებზე გაცემული თანხები	(1,043,904)	(1,002,786)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	66,697	(85,320)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
კაპიტალის ზრდა/შემცირება (+/-)		-
ძირითადი საშუალებების გაყიდვა/შეძენა (+/-)	(9,391)	(100,535)
მიღებული და გადახდილი პროცენტები	(12,181)	(7,681)
აქტივების გაყიდვა/შეძენა (+/-) არამატერიალური		
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(21,572)	(108,216)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
სასესხო ვალდებულებების მიღება (+)		215,922
სასესხო ვალდებულებების დაფარვა (-)	(30,949)	(69,940)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(30,949)	145,982
საკურსო სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	(37)	1,682
ფულადი სახსრების წმინდა ცვლილება	14,139	(45,872)
ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში	63,663	109,535

დირექტორი
გივი ნიორაძე



27 სექტემბერი, 2025 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 4-11 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.
ახსა-განმარტებითი შენიშვნები
შპს „შნო“

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „შპს შნო“, საიდენტიფიკაციო ნომერი 211325671 დარეგისტრირებულია საქართველოში, კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი ბუდაპეშტის ქუჩა N1

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ავეჯის წარმოება. საზოგადოების დამფუძნებელი არის: გივი ნიორაძე, პ/ნ 01024004318 – 100% წილის მფლობელი; 2022 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით საწესდებო კაპიტალი შეადგენს - 2600 ლარს.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას შვილობილი კომპანიები, რეგისტრირებული ფილიალები ან/და წარმომადგენლობები არ გააჩნია.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკ 2024	31 დეკ 2023
1 USD/GEL	2,8068	2,6894
1 EUR/GEL	2,9306	2,9753

2. საადრიცხო პოლიტიკა

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში და ყველა ღირებულება დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვაგვარად არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანაგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლით ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თავდაპირველი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაცია აღიარდება მოგება - ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საფუძველზე არამატერიალური აქტივის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, თუკი ასეთი ვადა არ არის განუსაზღვრელი. არამატერიალური აქტივებისთვის, განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით, გამოიყენება გაუფასურების ტესტი ყოველწლიურად. სხვა არამატერიალური აქტივებს ცვეთა ერიცხება ექსპლუატაციაში შესვლის დღიდან გამოყენების ბოლო თარიღამდე.

ამორტიზაციის ხანგრძლივობა და მეთოდები გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

იჯარა

იმის განსაზღვრა თუ ხელშეკრულება არის (ან მოიცავს) იჯარას დაფუძნებულია შეთანხმების შინაარსზე. ხელშეკრულება არის, ან მოიცავს იჯარას თუ შეთანხმების შესრულება დაფუძნებულია სპეციფიური აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებაზე, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ეს აქტივები არ არის აშკარად განსაზღვრული ხელშეკრულების საფუძველზე. კომპანია, როგორც მოიჯარე საოპერაციო იჯარა განსხვავდება ფინანსურისაგან. საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

შემოსავალი

შემოსავალი მოიცავს გაყიდვებსა და მომსახურებებს გარე მომხმარებლისთვის (დღგ-სა და სხვა გადასახადების გამოკლებით). მომხმარებლისგან მიღებული შემოსავალი აღიარდება შემოსავლად მხოლოდ მაშინ, როცა ჯგუფი შეასრულებს პირობით განსაზღვრულ სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა.

იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და სუფთა საერალიზაციო ფასს შორის უმცირესით.

მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება გასაყიდ ფასსა და დამთავრებისა და გაყიდვის მოსალოდნელი ხარჯების სხვაობით.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარი გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

ღივიდნები

ღივიდნები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი ღივიდნდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	19	200
ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	-	-
მიმდინარე ანგარიშები ეროვნულ ვალუტაში	77,783	62,942
მიმდინარე ანგარიშები უცხოურ ვალუტაში		521
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	77,802	63,663

4. სავაჭრო მოთხოვნები და გადახდილი ავანსები

სავაჭრო მოთხოვნები და გადახდილი ავანსები	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	48,308	78,814
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	-	-
სულ სავაჭრო მოთხოვნები და გადახდილი ავანსები	48,308	78,814

5. მარაგები

მარაგები	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
ნედლეული და მასალები	159,595	159,957
ნახევარფაბრიკატები	157,374	149,551
დაუმთავრებელი წარმოება	82,212	42,964
მზა პროდუქცია	88,782	82,559

ექსპონანტები	9,607	9,607
მცირეფასიანი მარაგები	5,765	10,231
სათადარიგო ნაწილები	5,845	5,845
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	107	256
სულ მარაგები	509,287	460,950

6. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა ნაგებობები	მანქანა დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	სულ
ღირებულება						
ბალანსი 31 დეკ 23	58,710	657,400	468,522	98,125	15,192	1,297,949
დამატება	-		15,391	-		15,391
აფასება შემცირება	-		(27,232)			(27,232)
ბალანსი 31 დეკ 24	58,710	657,400	456,681	98,125	15,192	1,286,108
დამატება						
დაგროვილი ცვეთა		(39,041)	(141,336)	(48,778)	(11,673)	(240,828)
	0	0	0	0	0	0
ცვეთა	-	(13,148)	(52,475)	(19,625)		(85,248)
ჩამოწერა	-	-				
	0	0	0	0	0	0
ბალანსი 31 დეკ 23	58,710	618,359	327,186	49,347	3,519	1,057,121
ბალანსი 31 დეკ 24	58,710	605,211	262,870	29,722	3,519	960,032

7. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
მოწ. და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	2,635	5,272
მიღებული ავანსები	279,331	110,433
საპენსიო გადასახადი	3,476	3,569
საგადასახადო ვალდებულება	13,754	20,944
სასესხო ვალდებულება	135,872	166,821
სულ სავაჭრო ვალდებულებები	435,068	307,039

8. სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის იყო 166,821 ლარი ,საიდანაც 2024 წლის განმავლობაში დაიფარა 30949 ლარი და 2024 წლის 31 დეკემბრისთვის სასესხო ვალდებულებამ შეადგინა 135,872 ლარი.

9. საკუთარი კაპიტალი

კომპანიას საწესდებო კაპიტალი 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 2 600 ლარს. 2024 წელს კომპანიას კაპიტალში ცვლილება არ განუხორციელებია. სხვა რეზერვების თანხა შეადგენს 109,953 ლარს, გადაფასების რეზერვის ნამეტი თანხის გადატანა გაუნაწილებელ მოგება/ზარალის ანგარიშზე, რეალიზაციის კვალდაკვალ,

მოცემულმა თანხამ 2024 წელს შეადგინა 27,391 ლარი. საკუთარი კაპიტალის საბოლოო ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს შეადგენს 1,162,268 ლარს.

10. შემოსავალი რეალიზაციიდან

შემოსავალი რეალიზაციიდან	2024
შემოსავალი იურიდიული პირებისგან	299,628
შემოსავალი ფიზიკური პირებისგან	96,081
რეალიზაციები გაყიდვებიდან	307,859
რეალიზაციები მომსახურებიდან	37,678
სხვა საოპერაციო შემოსავლები	2,542
რეალიზაცია მასალის გაყიდვიდან	575
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	744,363

11. დასაქმებულთა ანაზღაურება

დასაქმებულთა ანაზღაურება	2024
მენეჯმენტის ანაზღაურება	241,010
დანარჩენი პერსონალის ანაზღაურება	304,877
სულ დასაქმებულთა ანაზღაურება	545,887

12. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	2024
მცირეფასიანი ნედლეულის ჩამოწერა	10,989
სამივლინებო ხარჯი	-----
მომსახურების ხარჯი	4,495
საწვავის ხარჯი	6,882
კომუნიკაციის ხარჯი	3,654
რემონტის დანახარჯები	2,145
რეკლამის ხარჯები	1,309
ფინანსური ხარჯი	1,731
საკანცელარიო ხარჯი	451
წარმომადგენლობითი ხარჯი	345
არასაოპერაციო ხარჯი	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	32,001

13. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- (ა) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ,ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

შემდგომი ოპერაციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	ხელფასის ხარჯი	შემოსავალი	სულ
საერთო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერი			
მფლობელი	-	-	-
სულ			

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	გადასახდელი ხელფასი	დებიტორული დავალიანება	სულ
საერთო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბერი			
მფლობელი	-	-	-
შპს „იბერონ“	-	28,472	28,472
სულ	-	28,472	28,472

14. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

მენეჯმენტს მიაჩნია რომ კომპანია გააგრძელებს თავის საქმიანობას მომავალშიც.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 27 სექტემბერს

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას.